

# ლიტერატურული განცემი

№16 (272) 4 - 17 სექტემბერი 2020

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## პაატა შამუგია

### შეცდომის გასწორება

გული მწყდება, რომ რაღაც შეცდომები,  
რომლებიც შემეძლო დამეშვა,  
არ დავუშვი  
და ხელიდან გავუშვი  
არაერთი  
შესანიშნავი შეცდომის დაშვების შანსი.

გვინია სინანული,  
აზრი დაკარგა ჩრდილთან ბრძოლამ —  
ერთ შეცდომაში ორჯერ ვერ შეხვალ,  
ვერ მოაწონებ თავს მეორედ,  
თავს ალარაფრით ჩაგადენებს.

არადა, იყო ერთი-ორი კარგი შეცდომა,  
განა არ იყო!  
მაგრამ ისინი — დახვეწილები, სახიფათოები —  
ხელიდან გამექცნენ  
და ჩემთვის განკუთვნილ შეცდომებს  
ახლა უკვე სხვები სჩადიან.

განა მე ვერ შევცდებოდი უფრო გამეტებით,  
უფრო ფატალურ შეცდომებს განა ვერ ჩავიდენდი,  
მაგრამ გამექცა შესაფერისი წამი  
და ახლა დანანებით ვუყურებ,  
ეს დილეტანტი შეცდომილები  
როგორ გემოსაც კი ვერ ატანენ  
თითოეულ გადასარევ შეცდომას,  
რომელიც ძალიან მომიხდებოდა  
და ძალიან მოვუხდებოდი,  
რადგან ძალიან შევცდებოდი  
ლამაზად და უიმედოდ  
და სასოწარმკვეთად.

ხშირად ვოცნებობ მათზე,  
ღამლამობით მესიზმრება,  
თითქოს ყველაზე დიდ  
და ყველაზე მიუტევებელ  
შეცდომებს ვუშვებ  
და სიხარულისგან მეღვიძება.

IV

## ვახტანგ ჯავახაძე



ცოლილი — „ისავ გალავტონი“

## პონ — არა მაინ — რიდი


1924 წლის 18 ივნისს გალაკტიონმა ოლიას თბილისიდან ბორჯომში წერ-  
ილი გაუგზავნა:  
— ჩემი წიგნის გადაწერა დავიწყე. წიგნი მზად მექნება ორ კვირაში. პირვე-  
ლი აგვისტოდან შევუდგები ბეჭდვას და დავამთავრებ 15-ში.  
— წიგნის დაბეჭდვამდე ცოტა იოლად უნდა წავიდე.  
— უნდა მიყურო, როგორის ენერგიით ვმუშაობ წიგნზე.  
— „ჯონ რიდი“ — ახდენს პირდაპირ სენსაციას — თუმცა ჯერ არ გამოსუ-  
ლა. უურნალი დაბეჭდილია. გამოვა დღეს ან ხვალ.  
— ვინ იყო ბოლოს და ბოლოს ეს ამერიკელი, გალაკტიონის შედევრების ზო-  
ნაში რომ შემოიჭრა და ათასსტრიქონიანი ვერლიბრის მხოლოდ მინურულს  
გამოგვეცხადა?

VI









## პაატა შამუგია

### დილების გზაზე

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
მოიქცე დიდივით —  
იცინო მხოლოდ  
სასაცილოდ იდენტიფიცირებულ რამებზე,  
ხოლო  
არასასასაცილოდ იდენტიფიცირებულებზეც იცინო,  
ოღონდ — სხვანაორად.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
გქონდეს სახლი,  
გყავდეს ოჯახი,  
ლაბრადორი  
და მტრები.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
იყო ყურადღების ცენტრში,  
იყო ბანის VIP კლიენტი  
და იყო აქ და ახლა.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
გრამატიკულად გამართული სიცილი,  
და იდეოლოგიურად მწყობრი დუმილი,  
რომ ცხოვრების აღმრთაზე შემდგარმა  
შორის სებულები მომჭირნედ იხმარო,  
ხოლო ზენიზედები — პირიქით.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
მხარი დაუჭირო გამარჯვებულებს,  
ოღონდ მას შემდეგ, რაც გაიმარჯვებენ.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
გაასეირნო საკუთარი თავი ხმაურიან ადგილებში  
გაიცინო ახალი ადამიანები  
და შეიცინო ძელი საგნები,  
ძალაგამოცლილი ფუნქციებით.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
შენი ჰო ნიშნავდეს ჰოს  
და არა — არას,  
და ამავე დროს — პირიქითაც,  
თუ საქმე მოითხოვს.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
გასამარტინო პერანგი გეცვას,  
გქონდეს მაღალი რეპუტაცია,  
დაბალი წევეა  
და საშუალო ასაკის კრიზისი.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
იყო შემალონებლად ტაქტიანი,  
შეურაცხმული კეთილშობილი  
და ცოტათი გმირი,  
და შიგადაშიგ გქონდეს ზომიერი დეპრესია.

უკვე დიდი ხარ და მოგეთხოვება  
ისე იცხოვრო, თითქოს სიკვდილისთვის ემზადები,  
თუმცა სასურველია, ჯერ სხვებს დაუთმო  
ამ გამოცდილებით გამდიდრების შანსი,

რადგან უკვე დიდი ხარ  
და ეს არაა პატარა საქმე.

### გედუზა გორგონა გამოდის ქუჩაში

მე პოსტსაბჭოთა მედუზა გორგონა ვარ,  
კავკასიის მთების შვილი.  
ლარიბი და უხეში,  
მაგრამ ეთიკური —  
მცემენ — გავრბივარ,  
მაძლევენ — ვიღებ —  
ასე მასწავლეს.

ქუჩაში გამოსვლამდე გველებს ვივარცხნი,  
ქრისტებს ვილაგებ,  
ვცდილობ დავემსგავსო მათ,  
ვისაც არ ვუყვარვარ —  
ასე მასწავლეს —  
რათა სიცოცხლის უკანასკნელ წამებში  
ჩემი სახე შეერთი კოლექტიურ ფსქოზს,  
რომელშიც იწრთობა ჩემი მოთმინება.  
ვცდილობ, არ ავცდე  
გავრცელებული აზრების კალაპოტს  
და მიყვარდეს მოყვასი ჩემი  
და ქმრის მოყვასი მიყვარდეს  
და ქმრის საყვარლის მოყვასი მიყვარდეს  
და მეზობლების მოყვასი მიყვარდეს  
და მიყვარდეს სიკვდილი  
და სიკვდილი მიყვარდეს, როგორც მოყვასი  
და მოყვასი მიყვარდეს, როგორც — პირიქით.  
და ვემზადო მისთვის —  
ასე მასწავლეს.

მაგრამ მე სიცოცხლე მიყვარს,  
ამიტომ გამუდმებით სიკვდილზე ვწერ.  
თუმცა არაფერი ვიცი მის შესახებ,  
ან ჯერაც არ უსწავლებიათ,  
მის შესახებ რამე რომ ვიცოდე,  
ისიც შემიყვარდებოდა,  
რადგან როგორც კი ვინმეს კარგად გავიცნობ,  
იმზუასე მიყვარდება  
და მავინწყდება, რომ ზოგ მათგანს  
ჩემთვის ტკივილის მიყენება შეუძლია.  
თუმცა ტკივილი საჭიროა და გარდაუვალი,  
თანაც მის მოპოვება იოლია —  
ასე მასწავლეს.

### დელიკატური კოლოები

რა კარგები არიან წლევანდელი კოლოები,  
როგორი შეცვლილები და წინდახედულები გახდნენ.  
არა ჰეგანან შარშანდელებს —  
უტაქტოებს და მტკივნეულებს,  
მოღალატურად თავდასხმა რომ სჩვეოდათ  
და თავითით უხასი ზუზუნით  
შუადლის ძილს გვიფრთხობდნენ  
პატიოსან ზარმაცებს.

აი, ახლანდელებს წუილიც კი  
უფრო სასიამოვნო გაუხდათ,  
თითქოს კაფეში სევდიან ჯაზი ჩაერთოთ  
ან ძილში ბავშვს ამოეკვენესოს...  
და როცა გნესტრავენ,  
ამასაც კი დელიკატურად აკეთებენ —  
ჯერ შორიდან ზუან,  
თითქოს დაალოგში შემოდიან,  
გამზადებენ ფსიქოლოგიურად,  
შენი სხეულის ფაქტურასთან  
დიპლომატიურ მოლაპარაკებებს ანარმოებენ,  
და მხოლოდ მაისი შემდეგ  
შემოდან სხეულში ნაზად —  
ჯარიდან ახალდაბრუნებული ქმარივით,  
და იყიდებან შენი სისხლით და ხორცით  
და სამყაროში ამრავლებენ  
შენს გენეტიკურ ინფორმაციას.

### ეპონომიკური სონეტი

შენს ტუჩებში მე ცხელ კოცნებს ვაბანდებ  
როგორც მმმაგარ მოგებიან კაპიტალს.  
მირჩენია, უიმედოდ გაბამდე,  
სანამ ბაზრის ტენდენცია აგიტანს.

ჩაგიდებდი... გრძნობის ინვესტიციას,  
მაგრამ უკვე ველარ არეგულირებს  
ეს ბაზრი ამ სიყვარულს ფიციანს.  
ინფლაციით დადაბლებულ სურვილებს

ვედარ მუხტავს სხეულების ბარტერი,  
ბაზრის რეერვის გავხდით უცებ მონმენი,  
რადგან ყოველ მხნედ გაცემულ კოცნაზე  
მერიცხება სუსტი ვწების პროცენტი.

ვიღაც იპრეცის დემპინგური ფასებით  
რომ ეუფლოს შენი ფიქრის აქციას,  
მე მთ ვუმზერ, ვით გაყინულ დეპოზიტს,  
ხმარებიდან გასულ ობლიგაციას.

და თუ გვინდა, სიყვარული შეგვარგონ,  
დაგანესოთ უმკაცრესი ემბარგო.



თორნიკე

\*\*\*

დილილ ყველაფერს სხვა ფერი ედება.  
განათება ოთახში სულამოხდილი დაეცემა.

კატა მაიმუნივით დაინტერ კედლებზე სიარულს.  
ოთახში ყავით საგსე ფინჯანი თავის ფეხით შემოვა.

დედაჩემი გამომძახებს: „არ გაიღვიძო.

ძილი განაგრძე.

დავინიყუ უნივერსიტეტი,

შენ მაიც გენოსი ხარ“.

მომივა მოკლე ტექსტური შეტყობინება მობილურზე,  
და მე მას ცალი თვალით დავხედავ,

რომ გამიაქტიურდა ტარიფი,

რომელიც მე არ ჩამირთავს

და ჩამომექრა ბალანსიდან არ არსებული 10 თეთრი.

საბანს გავისწორებ და ძილს განვაგრძობ.

სიზრებში დავლევ

ოთახში შემოსულ ყავას.

ვიტყვი, რომ შეაქარი აკლია.

და სიტყბო ან ძალის ბევრი უნდა ჰქონდეს

ან საერთოდ უშაქრი იყოს,

რადგან სამყარო

„ან ყველაფერი, ან არაფერის“ პრინციპზეა აგებული.

ყავის შემდეგ

ნავალ და წინა დამით დაკავებულ შარდის ბუშტს

ვაჩვენებ, რა არის თავისუფლება,

რომ ეს არ არის მოიკარული,

და ეს არ არის სასტელი და მეგობრები,

რომ ეს არის

ერთი უბრალო მარტივი მოშარდვა.

შემდეგ აბანანაში ჩაეხტები,

რომლის ზომები არ დაემთხვევა ჩემს აგებულებას

და ებრძონივით მოვიკუნტები,

აუარებელ შამპუნს გადავისხამ მთელს ტანზე

და ცხელ წვიმს დავლელდები,

რომელიც ამომითურებას კანსა და თვალებს.

შემდეგ კი გამედლებებს.

იქნება შუა დღის ორი საათი.

ჩავიცავ დაჭმუქულ პერანგს,

რომელსაც ტანზევე გავისწორებ,

ჯინსებს, ბათინებებს,

ქუდს დაგუნდებებს ძეპნას,

და სწორების გამანებების გამო.

რომელიც ახალი ცხოვრება ეწერება.

რომ ვისავლო, როგორ ვიცხოვრო.

რომ ყვავილები ამოვიკვანო ჩემი თვალებიდან.

რომ საზამთროსგამოიან სიზრების გარდა,



## როპაქიძე

და ეს ჩიტები, როცა ყავის სმას ვასრულებ,  
ფრთებს ნელ-ნელა ამოძრავებენ და  
გასაფრინად ემზადებიან.

არაფერს ვტყუი.  
ლამბაქი სავსეა მათი სკლინტებით.  
ფული იცისო, მეუბნებიან.  
შაგარამ აქვს კი მნიშვნელობა ამ ფულს?  
მთავარი ხომ სწორედ ის არის,  
რომ ჩიტები მიფრინავენ სადღაც უკეთეს ადგილას,  
მიფრინავენ მუცელდაცლილები.  
და თუკა დიდ პოეტები სვამენ კითხვას,  
სად მიფრინავენ იხვეპი ტბების გაყინვის შემდგომ,  
მეც ასევე მაინტერესებს,  
სად მიფრინავენ ჩიტები ჩემი კუთვნილი  
ყავის ფინჯნიდან.

\*\*\*  
მარტივია, ერთხელ რომ ადგი  
და საკუთარი თავი გატეხო.  
შემოაცალო ნამტვრევები,  
თავად მიირთვა.  
ქინდებ სიურპრიზის  
შოკოლადის კვერცხივით არის,  
რომლის შიგნითაც ამოსული სათამაშო გაგახალისებს.  
მაგრამ ახლა ისიც არა.  
რაც გატეხე, ცარიელია.  
და შენც უყურებ მის ნამსხვრევებს,  
ლირს კი მირთმევა?  
ან იქნებ ისევ ისე შეაწებო, როგორიც იყო.  
ბრჭყვალა ქალალდიც შემოაკრა  
და ისე დადო,  
რომ დაგვაიწყდეს  
მისი გულის სიცარიელე.

\*\*\*  
როცა ლამით ვბრუნდები სახლში,  
ავტობუსის დიდ ფანჯრებში  
ადამიანები თვალებ დამხრჩალები სხედან.  
მე კი ერთ მხარეს მიყრდნობილი  
მეორე მხარეს ნახევრად ვჩანგარ.  
ანუ თან კი, თან არა.  
და ეს ჩემი ანარეკლია, რომელშიც შედის:  
გზები, ხეები, მანქანები და  
კომერციული შენობები,  
აქა-იქ ლამის ბომჟები და  
სახლისკენ მიმავალი გოგონები.  
მე კი ვგიუდები ასეთ დროს, როცა  
გზები ჩემში გადიან,  
ქუდის ქვემოთ თვალები მიბრნებინავს,  
როცა ხეები ჩემში გადიან.  
ჩემს ანარეკლში.  
მანქანები და კომერციული შენობები ჩემში გადიან.  
ეს ბომჟები და გოგონებიც  
ჩემს სხეულს გაივლიან და მეტიც,  
კარი იღება და თითქოს პირდაპირ  
ჩემში უნდათ რომ ამოვიდნენ.  
თითქოს მე ვარ ყველაფრის ავტობუსი,  
თითქოს ჩემს გარეშე არაფერი არსებობს,  
ქალაქის ერთი პუნქტიდან მეორეში დაბრუნებისას.  
სანდახან კი მგზავრებსაც გახედავ და მათი  
დამხრჩალი თვალებიდან  
ვამჩნევ აზელილ სიზრებს,  
რომლებიც არაფერია, თუ არა ეს საოცარი სანახაობა.

## გაზაფხული, 2020 ნების

მოჯადოებული მზეთუნახავივით  
მიწის გულიდან  
ამომზევებულო გაზაფხულო,  
შემიშრე ცრემლი.  
მიაქვს წუთისოფელს  
დღეთა ქარავანი,  
როგორც მდინარეს  
ლერწების ნავი.  
ვინ დაწნა  
ქვიშსგან საპელი?  
ვინ დაიჭირ ქარ ხელით?  
შენ რომ შეგაჩეროს,  
სიცოცხლის მოყვავილე სხივო.  
კვირტების ჩურჩული  
ლოცვაა სიყვარულის...  
ესალბუნე სულს,  
ტკივილით შემკრთალს,  
მზის უმრნემესო დაო,  
გაზაფხული...

## პროცეზები

შუალამისას,  
ერთი პირი  
ნეალსაც რომ ჩასთვლემს,  
ზურმუხტის სანთლებს  
ანთებენ ციცინათელები.  
მიხურულ დარაპებს  
აღებენ ბრონეულები,  
გამოდიან მენამული დარბაზებიდან  
ულაბაზესი ქალები.  
ერხევათ თმის ტევრი,  
უთრით ნატიფი მკლავები.  
ქარისგან ნასწავლი ცეკვით  
ადიდებენ მთვარეს...  
გათენებისას, ცისკრის სხივებზე  
სისხლისფერ ყვავილებად  
ქცეულები  
მიაშურებენ  
ბრონეულის მონატრულ რტოებს...

## ნეირა

გულს დამინისლავს  
ეს ივლისი  
თავსხმა წვიმებით.  
დახეტიალობს ეზოს ბილიკზე  
გოგრის ბარდი,  
ფოთლების ქოლგით.  
მოვა, მომანვდის  
დაცვარულ ყვავილს,  
მარტოობთ გაძეზრებული.  
ეჭ, ჩემო კარგო,  
ნებს წაჟყოლია  
თურმე ხალის.  
ალარ ვსველდები  
წვიმის თბილ ჩქერში.  
ვზივარ და ვუსმენ  
ღაპალუპით  
კრამიტებზე წვეთების ცვენას,  
მათ გაბმულ ძახილს  
მოჰყავს ბავშვობის  
ხმები, სურნელი  
ზეცის ცრემლებით სულჩაბერილი.

## ნისლების ქალცული

მთის წვერზე მლოცველო,  
ნისლების ქალნულო,  
ნაიღე გაცრეცილი  
გრძნობების მძივი...  
სურვილზე მიჯაჭვულს,  
ცოდვებით დათრთვილულს,  
მაწვიმე სიწმინდე,  
მიწაზე მწვეთარი  
ცვარივით წრფელი...  
მთის წვერზე მლოცველო,  
ნისლების ქალნულო,  
ნაიღე გაცრეცილი  
გრძნობების მძივი...

## ნოეს

მოვალ შენთან  
ზღაპრული ქვეყნიდან,  
ვერცხლისფერ ფრთიანი  
ფასკუნჯივით.  
გადმოვირენ ქალაქებს, სოფლებს.  
გაგახარებ  
დაბადაგებული ჩურჩებით,  
მოკისისე ბრონეულებით,

## ლელა ლაგაზიძე

ის სუნთქვით  
გამთაბარი „დედა ენით“...  
შენი მოციმიდე  
თვალების მაცერალს,  
უფლის ბალის ციციათელა  
მგონიხარ,  
ადამიანთა მიწაზე მოფარფატე.  
თილისმავით შემოგავლებ  
მშობლიურ ლოცვას,  
შენ გენაცვალე,  
დაგედე წამლად,  
დაგიფაროს ჩემმა სიყვარულმა,  
სინაზის ზღვად დაღვრილმა.

## გამოსათხოვარი

ხავერდის ნაცვლად  
ლვინობისთვის ქარვა მაჩუქეთ.  
ყელს შემომავლეთ  
ბრონეულის კრიალა მძივი.  
დამინთეთე საზოლად  
მარჯნისფერი ალუბლის ტოტი...  
ჩემს სიცოცხლეზე,  
ბგერის სისწრაფით  
გადამტრალ წლებზე,  
ისაუბრონ მხოლოდ ქარებმა.  
სევდას, ხმირ სტუმარს,  
გასახვსოვრობ წვიმას...  
მათვეთ ერთგულ სასახლეში  
ლვინისფერი ფოთოლი თომილის,  
თავაცყვეტილი მოტრფიალე  
შემოდგომის მზის.  
მის მოგიზგიზე  
ბუჩქს შევატოვე  
სიყვარული  
დამების გარიურაჟივით...

## ვაშლი

გინახავს  
ვაშლის ყვავილობა?  
სითეთრე  
ქალნულის ღანვს უგავს,  
სინატიფე სულის სიწმინდეს.  
სამხრეთიდან მომავალი წერო  
უნაზეს  
სიზმრებით ხიბლავს.  
მოდის ფეხაკრეფით  
მაისის წვიმა,  
ფოთლებზე მოგრძო  
საყურებს კიდებს...  
უმზერს მთვარე და  
კვლავ ეხსნება  
ძეგლი იარა  
...ჩაიძირება ვაშლის ყვავილთა  
სურნელის ტბები...

## დამაზიდობა

ნალველის კაბა მაცვია,  
გულზე ქა მადევს  
ტკივლის.  
დამტოვეთ  
ჩემს სიყვარულთან,  
დამდნარს, ფერმიმქრალს  
ეგბზ ტყის ვარდი  
ეპის  
ან ის ყვავილი  
ძლივს მფეთქავ მაჯებზე.  
დამტოვეთ  
ჩემს სიყვარულთან,  
თქვენ კი გაჰყევით  
სიზრებს ნისლების მხარეში...

## საფო

ტირის შენი ლექსი,  
საუკენეთა წიალიდან  
ვარსკვლავების  
შორეული სინათლესავით  
გულზე დაღვრილი...  
და თითქოს გხედავ  
მწიფე ზეთისხილის ბალში  
დაჩოქილს,  
მირტის რტოების  
გვირგვინით მორთულს,  
ოქროს რგოლებით  
მაჯებდამშვერნებულს.  
მესმის შენი ჩურჩული,  
გულისსწორისკენ  
ნიავს გაყოლილი...  
„ვცხაცახებ მწარედ და  
ბალაზე მწვანე ვარ,  
ნამიც, შენს წინაშე  
დავეცემი უსულოდ სულო“...







## გიორგი

## ბალახაშვილი

რომელიც ცხენით ჯირითისას ყელზე გევეთა, მახსოვს კოჯორი, ტაბახმელა, მახსოვს კიკეთიკ, ნეტავ იმ დღეებს, ჭრიფინის ხმას როცა ვიშმენდით, წყალს წაულია ამულეტი, ტბები, ისინდა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, უნინაც გრძელი ლამეების ვიყავ ერთგული...

8

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, სარკმლიდან მცირე გორაკიც კი არის „თეთნულდი“, არრას ვიგონებ, ცხადზე ცხადი და აშკარაა, ბრალი იმისა, ვინც უუშბოა და უშხაროა, თუნდაც ფიქრებში,

ვინც ვერ ლაშქრავს ზემოთხსენებულ მწვერვალებს, ყველა კარგიც იყოს, როგორც ენებოს, მე, ჩემი წლილი გავლილი მაქეს, ყდარდობ ამათლა, რომ სიბრძან მანც ინაულობ მთა — საგარმათხა, ანდაც პირიქით, რომ ისმოდეს მცირედი ჩემიც, ინანიშვილის „შორი თეთრი მწვერვალი“ მაინც, შვილებს ძილისპირს წაუკითხონ, ზღაპრების ნაცვლად, დინჯად, მკაფიოდ, სახიერად და მარცვალ-მარცვალ, მე პირანდელოს უზრიესონებ, სარამაგუსაც, წყალს წაულია მონბლანი და აკინებავა.

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, სარკმლიდან მცირე გორაკიც კი არის „თეთნულდი“.

9

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დღეები გადის, მე კვლავ აქ ვარ, საუბედუროდ, გემოც კი არ აქვს, არც სიტყობი და ალარც სიმლაშე, ამ მრუმე დღეებს ქორწილებში, მზისფერ სილაში, შატალობზე, მიტინგებზე, ბუნტზე, ქუჩაში, სადაც ურნებათან წანალებენ, ყეფენ უჯიშო ძალები, რადგან შიმშილისგან კუჭი უხმებათ, სხვა დროს მაძლრები ძუნდულებენ დუნედ, უხმებოდ, ყავლგასული და უსულდგმულო დღეების რიგი, რა საცრად ჰეგას ეს დღეები გადაყრილ წიგნებს, რომელსაც ვინმებ ბურნისტი წახავს, მოხიკავს და პლესინოვზე ლარნაცევრად ჰყიდის მოჰიკანს, მე კი წერილებს დავეჩივი, აქვე, საენიდან, წყალს წაულია მოჰიკანი — უკანასკნელი!

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დღეები გადის, მე კვლავ აქ ვარ, საუბედუროდ.

10

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, უშენობასთან დაგემობილდი, კი არ შემძულდა, თუმცა დღეები, რაც დრო გადის, მეტად უმდება და მახსენდება დათოვლილი ლუგუსტრუმები, თებერვლის ბოლოს,

თითქმის დაცლილ პუშკინის სკვერში, ჩვენ და შუახნის მამაკაცი, რომელიც გერმვინს ატრიალებდა ფირფიტაზე, წინ ედო ქუდი, ქუდის ფაკერიდან ძლივს მოჩანდა მცირედი ხურდა, რა იქნებოდა, გამოვლო ვინმე მეცენატს, შუახნის ცაცის თვალებისთვის ერთად გვეცქირა, როცა ის ქუდი იქნებოდა პირთამდე საცხე, არ წავიდოდა დალვრემილი, სხვა დღეთა მსგავსად, ცივი დღეები მენატრება, ერთად ვიგლოვოთ, წყალს წაულია პურინი და რახმანინოვი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, უშენობასთან დაგემობილდი, კი არ შემძულდა...

11

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, თვალს და ხელს შუა, წელინადი უკვე შესრულდა, ერთი წელი არ მინახავს შენი ლიმილა, ხანდახან ვორობა, ეს საკანი მწვანე მილია, თუმცა სტივენ კინგი არ ეკუთხნის ალბათ იდეა, მერნმუნე, ჩემში ფანტაზია უფრო დიდია, მერნმუნე, ჩემში მონატრება უფრო ვრცელია, ყველა ძილის წინ, როგორც ბალახს, მთიბაგი ცელივით, შენი ფერმერთალი სილუეტი, თვალებს რომ ვხტავ, როცა ბრაზისგან თავისთავად მეკვერება მუჭი, როცა შიმის გოგონი მეტობება ყოველი ნერვი, როცა შიმისგან მეტობება ყოველი ნერვი, როცა არ მახსოვება, რაზე იყო წერილი მერვე, მისწრება არის ახლა ლვინი, თუნდაც ჰაშმი, წყალს წაულია სტივენ კინგის წიგნების შიში, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, თვალს და ხელს შუა, წელინადი უკვე შესრულდა.

12

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, გნერ ბოლო წერილს, უწევეულო არის ბინდ-ბუნდი, გადავიკითხე ყველა ნიგნი, უურნალ-გაზეთი, რაც შემოგზავნე, თითქმის ყველა მასტრი, მასტრის ამბობს „დავიტოვება“, ხოლო დანარჩენს, სხვა პატიმრებასაც უუნილადებ, მათაც საკანში საქმე არა აქვთ, კითხვის გარდა, ან რა აკეთონ, დამეებს გათევთ, როგორც უნინ, სოფელ აკეთში, ვიცოდით ხოლმე თუ სიმინდის მოპარვა გვსურდა, ცოტა გავცივდა, შემანუხა ხველამ და სურდომ, თვალინ კადრებად დამილაგდა მთელი ბავშვობა, შურდულით როგორ დაგვიფრთხოსა უფლის შაშვები, წერილებს ფოსტას გამოვატან, აქ თავს ვანებებ, წყალს წაულია სიმინდების მწვანე ყანები, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, გნერ ბოლო წერილს, უწევეულო არის ბინდ-ბუნდი.

1

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, არც კი იფიქრო, რომ ოდესმე ვიყავ ხელმრუდი, ცხოვრება ზოგჯერ უცნაურად, მნარედ დაგვცინის, თუმცა ვერცერთმა განსაკლულმა შექმნა ვაქცინა, რომ ბერდის ბორბალს წამოწყობო წალაში ტრიალი, რომ მავ ლრუბლებში გამკრთალიყო ზეცა — კრიალა, მეც ამ წერილებს შევუყვარი, დღეიდან მოგვწრ, აქ, ჩემს საკანში, სულ მარტო ვარ, არა მაყავს მოძმე, წიგნები, შენ რომ შემოგზავნე — ამანათებად, ხანდახან არის სულ მცირედი გამონათება, თუმცა წიგნებათან ძირითად მარტო ვასუბრობ, ლამის მესამედ ჩავიკითხო ბალი — ალუბლის, მომწინდა ყოფნა ოთხ კედელი, ახლა ისე ვარ, წყალს წაულია ილიადა და ოდისეა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, არც კი იფიქრო, რომ ოდესმე ვიყავ ხელმრუდი...

2

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ცხოვრება ზოგჯერ სამკუთხედი არის ბერმუდის, უნდა მოხიო, რაც კი რამ გაქვს, ბარგი-ბარხანა, დასახლდე სოფლად, მოიყავან ქინძი, ტარხუნა, სალამის იჯდე ბუხართან და წრუპო ხვანჭარა, დილაბით კი ბალი მორწყა, არ დამაჭენარო არც რა გოგრა და არც რა კიტრი, არც რა ლობიო და ერთ შუკამიო მოელიო მსოფლიო, სრულიად უხმოდ, უხმაუროდ, დინჯად მოხუცდე, უჟაერობა რაოდ გაქავდეს განივ კორცუსთა, ხველას კი მხოლოდ იგი გვირდიდეს, წერა რომ ნიო, ნუ შეანელებ, მოუმატე დილიო მოციონს! პასტორალებს ვწერ, რომ ვუყურებ, წერილს კი არა, წყალს წაულია წუაქშოტი, დელი, კაირო, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ცხოვრება ზოგჯერ სამკუთხედი არის ბერმუდის...

3

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ადრე თუ გვიან, ყველა ძალი იღლება ყეფით, მზად არის უხმოდ, ძეველ პატრონთან სახლში შეპრუნდეს, თუნდაც ცემისგან დაბეჭილი სტრილებს კეფი, ხოლო წარწერა, რომ გინახავს ათას ჭიშკართან, არის პირიქითი: ეზოშია ავი პატრონი! გახსოვს, ბუხართან ერთად ჯდომა, როგორ გვიყვარდა, მთელ დუნიაზე რომ ვიყავით მაშინ მარტო? დღეს უკვე წერილს გისახსოვრებ, თანაც მესამეს, არადა, რომ ვთქვათ, სენტიმეტრებს გამოვესალმე, აქ, ამ საკანში, ლამ-ლამბით, ვიდრე არ მძინავს, წერის სურვილი მიმდაფრდება, უფრო მაძიმებებს, სულ დამავინებდა, დღეს ცოტკა ხნით გარეთ ვიყავი, წყალს წაულია უკველებელი და არა უკველებელი, გადავიკინდება, რად ვისხომებ ასეთ წვრილმანებს, კურრიკაც ერთად არ უუყურეთ? კრუზი, კიდმანი; მეც, რა ხანია, რომ თვალები ფართოდ და უხუჭე, საკანში ასგზის შევინროვდა ჩემი ნაჯუჭი, საკანში ასგზის შევინროვდა ჩემი ფართობი, აქ პოსტერები, რა თქმა უნდა, ვერ გამართობენ, ნარიყალაზე ავდიოდით მთელი აგვისტო, წყალს წაულია ტრინადიდან იუპიტერიც, ჩემო გერტრუდა, ცხოვრება ზოგჯერ ხანმოკლეა, როგორც ეტიუდი, გაცემის ყოველდღე გაცილებდი ისნის მეტრომდე...

6

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, თითქმის ყოველდღე გაცილებდი ისნის მეტრომდე, მახსოვს ყოველი მისალმება, ყოველი კოცნა და შენი სახლის მისამართი — თელავის 20, იქვე, ჭიშკართან, ფერგასული, ძეველი კოცნა, მსახიობების პოსტერებით: გირი, კიუსაკი, გაგეცინება, რად ვისხომებ ასეთ წვრილმანებს, კურრიკაც ერთად არ უუყურეთ? კრუზი, კიდმანი; მეც, რა ხანია, რომ თვალები ფართოდ და უხუჭე, საკანში ასგზის შევინროვდა ჩემი ნაჯუჭი, საკანში ასგზის შევინროვდა ჩემი ფართობი, აქ პოსტერები, რა თქმა უნდა, ვერ გამართობენ, ნარიყალაზე ავდიოდით მთელი აგვისტო, წყალს წაულია ასგზის შევინროვდა არა უუნილებელი, გაცემის ყოველდღე გაცილებდი ისნის მეტრომდე...

7

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, უნინაც გრძელი დამეების ვიყავ ერთგული, ლამით ხომ გზებიც უცნაურად იმ



## გერტრუდას პასუხები — ნოვ პირველი

1

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ფოსტალინმა წერილები კართან მომიღდო, შენ ვერც კი ხდები, ამ წერილებს როგორ ველოდი, კონვერტთა შეკვრას მოისროდა როცა ველოდან ფოსტის ბიჭუნა — აღარ მახსოვს მისი სახელი, არც კი მიცდია მოლოდინის მისთვის გამხელა, ახლა, ერთბამად მიხარია, თან ვარ მწუხარე, გარეთ თებერვლის სუსია და ვზივარ ბუხართან, დღეს ამ წერილებს დავალაგებ შენსენ, ბალიშზე, შენი სუნი რომ ისევ ჰქინდეს, მაშინ, რა მიშავს, წერილებს მანამ შევინახავ, ვიდრე უშენოდ, სახლის წინ დარგულ კამელიებს ვარდებს უშენებ, ერთ ამოსუნთქვად წავიკოთხე შენი ლექსები, წყალს წაულია რომერ და ჟულეტ ბინოში, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ფოსტალინმა წერილები კართან მომიღდო...

2

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ხანდახან ვფიქრობ, ნასვლაშია მეტი ლოგიკა, უცნაურად ჟლერს, გეთანხმები, მაგრამ ასეა, ვითომ ცხოვრება გადაშლილი პასეანსია? ზოგჯერ მკითხავთან წააწყდები ქალებს — მრევლიდან ან უარესი, ჩაანაცვლებს ბალზაკს მერიმე, დღეთა ლიცლიცი გადავლის ანუ უფერო დღეები მოვლენ და მოინენს თვით ლუციფერი, რატომ იცნია, არ მოგვსვლის აზრად ოდესმე ასეთი ფიქრი, გაგიკილავ განა ბოლერს მე? ეულად ემაც მეცოდება, ჩემ თავს რას ვჩივი, ვაგლახ, ღმრთი და ქირომანტი ვერ გავარჩიე, ბუხარშიც მარტო დავეჩივი ცეცხლის დანთებას, წყალს წაულია ყავაცა და ქირომანტებიც, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ხანდახან ვფიქრობ, ნასვლაშია მეტი ლოგიკა.

3

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, შენ შემანავლე წრფისგან რყალი როგორ მოვდრიკო, დრომ მიმაჩვია წარმოსახვით როგორ გეფერო, დროებით ჩვენი სიახლოვე გახდა ზეპირი, გუშინ საღმოს წავიკითხე დინო ბუცატის „ძალი, რომელმაც ლმერთი ნახა“, სიზმრად ვიცადე, მაგრამ ლოდინი ამჯერადაც დარჩა ლოდინად, შენ მხარეს ისევ ხელუხლები არის ლოგინი, გაგიზარმაცდი, ჩემ მხარესაც გვიან ვალაგებ, არადა, ერთ დროს, ვერ ვიტანდი ასეთ ბალაგანს, ბევრჯერ მოგვსლია სისულელის გამო კამათი, ახლა კი ვდარდობ, ნეტავ როდის გამოანათებ და მაინც როდის მომეხვევა შენი მელავები? წყალს წაულია ვყელა ჩვენი წაკინელავება! ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, შენ შემასნავლე წრფისგან რყალი როგორ მოვდრიკო.

4

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, დღეს ჩვენი ფოტოსურათები ერთად მოვკრიბე, პირველ მათგანზე — საჯაროში ვთხზავდით ესსებს, რა კარგ ადგილას მოგვინებია ფოტოსებია?! კვირადღე იყო, ასე მახსოვს, პოდა, ფოიკ, ბუზის გაფრენის ხმას ისმენდა, მგონი ფოიკ-ბაზი გეჭირა, „მწერალი და ადამიანი“, რაღა თქმა უნდა, მალიდინე, დააგვიანე,

შემდეგ პლომბირით მოუთხვარე პერანგს სახელო, ქალაქისანაც ვითამშეთ, ფილმის სახელი ვერ გაისხენ ასო ი-ზე, ზურგი მაქციე, ინგლისს რომ წერდი ქვეყანაში, იქვე, პაციენტს, მეგონა, გვერდით მიუსვამდი გრაფა-კინოში, წყალს წაულია რომერ და ჟულეტ ბინოში, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, დღეს ჩვენი ფოტოსურათები ერთად მოვკრიბე.

5

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, უშენოდ თეთრად გავათენე დამე — მორიგი, ლამის სამ-სამჯერ წავიკითხე თითო წერილი, დაგიზებირე მძიმეცა და მრავალნერტილიც, გადავატარე მთელი დამე ფინჯან ყავაზე, დღითიდე ვეზდები, უშენობა არის მარაზმი, ვეძებ და მიჭირს სათანადო სიტყვების ნახვა, საოცრად აღნერს ამ ყველაფერს ფრაზა „წყლის ნაყვა“, ამ დროს თამაში ხშირად მინევს ანუ ვიგონებ, როგორ დაფუძდეს უშენობის იერიქონი, როგორ მოვიზმო სიბრელეში სხივი სინათლის, როგორ გამოვყო ღვარძლში იფქლი,

ჭორში — სიმართლე,

როგორ განვდევნო ღრუბლები, რომ ქარმა მორეკა, წყალს წაულია უძილობის მთელი ერონიკა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, უშენოდ თეთრად გავათენე დამე — მორიგი...

6

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, სამყაროს ვერ ცვლის ორი კაცი, შენც არ მომიკვდე, არის მუდმივი უძრაობა, დგომა, სტატიკა, ვის ახსოვს ლადო, ტიციანი, აი, ტატოც კი, მხოლოდ მტკერის პირას ახსენდებათ, ისიც ნასვამებს ან მეთევზებას — მათი ცეკრით თვალებს ვასვენებ, ეს ერთადერთი სტატიკა, რაც ხელს არ მიშლის, მოძრაობაზე რომ ვიფიქრო გვიან დამეში, ეს ერთადერთი სტატიკა, რასაც ვაფასებ, დგას, როგორც ძეგლი, ამაზრზენად მძვიდი ანფასით, თმა-მხარ-ბეჭმავი მამაკაცი — ხელში ანკესით, მახსოვს, ვუშინაც აქეთ იყო, ბადე აკემსა, ნეტავ, იმდენი დაიჭიროს, ეყოს ქორნილად, წყალს წაულია თუ არადა ღლავიც, ქორქილაც, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, სამყაროს ვერ ცვლის ორი კაცი, შენც არ მომიკვდე.

7

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ვერც ეპისტოლე დაგინერე, ვერც აპოკრიფი, ჩვენში იმდენგზის შეიცვალა ცა და ტაროსი, ხანდახან ვფიქრობ, როგორიგ ხარ თუ ტანტალოსი? ხანდახან ვფიქრობ, ტანტალოსი ხარ თუ სიზიფე? ხანდახან ვფიქრობ, ღმერტომა უწყის ყველა სიგიურ, ხანდახან ვფიქრობ, უსაზღვროა ჩვენი სეოლიო წერილთა მიღმა, როგორც მზეთა შემთხვევილია, ჩამავალ მზეთა, იძახოდა ასე ვერები, ვერლენს კა, მაგრამ, შენს წერილებს ვერ შეველევი, ვერ შეველევი უძილობას, შენი ლოდინი, ხანდახან არის უსუსური, ვით ლოკონია და ისე მზაფრაგს მოლოდინში ჩვენი სიმყიფე, წყალს წაულია ლოდები და დარჩეს სიზიფე, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ვერც ეპისტოლე დაგინერე, ვერც აპოკრიფი.

8

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ჩალად არა ღირს ეს ქვეყანა, ბოლოს მომდებარება, შესაბამისად, დახურული არის ჩალითვე, მთელი ქვეყანა — უსათუოდ სადმე ჩაგითრევს, ხოლო ჩათრევას, როგორც უთქვამთ, გიჯობს ჩაყოლა, ანდა პირიქით (მეც ხომ მერქვა შენი საცოლე), ვფიქრობ, ცველაფრის გახსენება მინევს თავიდან, შენც, შეა წყალში გადამაგდე, კარგო, ნავიდან, ახლა ჩვენს ყოფას დავარქემევდი უფრო მოლოდინს, მახსოვს, ჩაგითქვი, სამი შეილი მსურდა გვყოლოდა, მაგრამ სურვილი სამი შეილის სამი წელია, სურვილად დარჩა, სხვა დროს ეს არ მომინერია, ვდარდობ, რომ განხავი, იმ წუთამდე ცოცხლად რა მივა, წყალს წაულია უშენის წელი სამივე, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ჩალად არა ღირს ეს ქვეყანა, ბოლოს მომიდება.

9

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ხანდახან თევზაც მოჰყოლია გველი გოდრიდან, ცხოვრების გზაზე უხვად გვხვდება კავანათები, არის იმედის სხივიცა და გამონათებაც, სწორედ ამ სახით ინარჩუნებს წელი სამივე, ხანდახან თაულია უშენის წელი სამივე, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ხანდახან თევზაც მოჰყოლია გველი გოდრიდან. ხანაც ოფლისგან, თვალები გვენების და საღამოს იმავ თვალებით, ერთიანეთს ვეცდი — იმედების გარდაცვალებით, ერთიანეთს ვეცდი იმედების თვალებით გადასხვილებით, ერთიანეთისგან ვიცლებით და ისევ ვიცსებით, შესაბამისად ჩვენს კავშირში სჭარბობს სიშორე, ხოლო სიმშეციდე უფრო მეტად არის გიურუ, ასეთ დროს გიჭირს გაარჩიო ცხადი, მითებიც, წყალს წაულია უშენის ფარდობითობა, ხანაც სისხლს ვლვრით, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ხანდახან თევზაც მოჰყოლია გველი გოდრიდან.

10

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ერთ-ერთ წერილში გაიხსენ სტენლი კუბრიკი, მართლაც რომ ფართოდ დახურული თვალებით დავალთ, გსურს განვიხილოთ, თუუდაც გვექნდეს მცირედი დავა? მაგრამ კამათში უნდა იძვა ჭეშმარიტება, საპირისპირი რამე რომ თქავა, ნუ შეშინდები, იმ ფილმის მსგავსად არ მოვაწყობთ, ვიცი, ორგიერს, ვერც ზიარება გვიშევლის და ვერც ლიტურგია, ჩვენ არც წინდები დაგვჭირდება, არც პაროლები (უბრალოებას დავესესხორთ უბრალოება), მხოლოდ თვალებით ვისაუბროთ, ხოლო უბრად კი იყოს სამყაროს რეზისორი, სტენლი კუბრიკი ვერც, იმდენი რამე რამ ვერ გითხარი, მართლაც იმდენი, წყალს წაულია ტომ კურუზი და ნაკოლ კიდმანი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ერთ-ერთ წერილში გაიხსენ სტენლი კუბრიკი.

11

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ისე უცდიდი შენს წერილებს, როგორც ფრონტიდან, ნიშნად იმისა, რომ ეს ომი მაღლე








ქეთევან გახოკია

# დასკვნა: „გიყვარდე ეც“



უცნაურის, თუმცა ფაქტია, რომ 1959  
წლამდე ლიტერატურულმა სამყარომ  
არაფერი იცოდა ჯეომზ ჯოლისის ტექსტზე  
„ჯაკომო ჯოლის“, რომლის აღმოჩენას მწ-  
ერლის მთავარ ბიოგრაფს, რიჩარდ ელ-  
მანს, უნდა ვუძადლოდეთ. და რატომდაც, ელ-  
მანზე ფიქრისას, ჰერი ჯეომზის ტექს-  
ტის ასპერნის ნერილების უსახელო  
მთხოვნელი მახსენდება — ლეგენდარუ-  
ლი მხატვრით, ჯეფრი ასპერნით, შეპყრო-  
ბილი კრიტიკოსი, რომელიც საკუთარი  
კერპის ბიოგრაფიას ადევნებული, ახალი  
დეტალების აღმოჩენისას, სიამოვნებისგან  
თრთის და ცახცახებს.

ვერ გეტყვით, იგივეს განიცდიდა თუ არა რიჩარდ ელმანი, როცა ჯონისის გამოუკვეყნებელ, თექვსმეტგვერდიან, ტექსტს პირველად იკვლევდა, თუმცა ფაქტია, რომ მწერლის ბიოგრაფიას ადევნებულმა სახელიც გაითქვა და ლიტერატურულ სამყაროს ფასდაუდებელი სამსახურიც გაუწია.

სიტყვებს აქვთ ენერგიები და ისინი ზოგჯერ კანზე დაყრილი ხორცლებივთ იგრძნობა. ჯოისის ეს ეროტიკული ფანტაზია, მისი პალუცინაციური სამყარო, რომელიც ქალისადმი ვწებითა და სხეულისადმი ლტოლვითაა გაუღენთილი, ემოციების

ის და შეგრძნებების ტექსტია, სხეულზე  
ხორკლებივით გადავლილი.

ხელოვნება ყოველთვის დიდი ტკივილისგან, ვნებისგან, მარტობისგან, ტანჯვისგან იქმნება და ზოგჯერ არაფერი უნევს ხელოვანს იმაზე დიდ დამსახურს, ვიდრე უპასუხო გრძებობა. ჯაკომო ჯოსიც უპასუხო გრძებობით მოცული და ათროთოლებული კაცის ვწებებიდან ამოზრდილი ტექსტია, აქაფებულ სისხლს რომ ვეღარ აკავებს. შუა ასაკის მასწავლებლის ამბავი, თავად ჯოისის გამოცდილება, რომელსაც ტრიისტში ცხოვრებისას საკუთარი მოსწავლე — გათხოვილი ქალი შეუყვარდა.

ქალი კი ტექსტში უსახელოა, მარადი-  
ული ქალურობის გამომსატველი. თუმცა,  
მის ვინაობას, მწერლისგან განსხვავებით,  
ისევ რიჩარდ ელმანი გვიმზელს, რომელ-  
იც წინასიტყვაობაში ტექსტსა და ფაქტუ-  
ალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯოი-  
სის ერთ-ერთ მოსწავლემდე — ამელია  
პოპერამდე — მიდის.

კონის კი იდუმალებას ამჯობინებს —  
შეუცნობელ ქალს ესწრაფვის და წარმო-  
სახვის დახვერილი თამაშით მის სხეულს  
მეტაფორებად და ხატებად შლის. მერე მე-  
ტაფორად აღქმული ქალი უყვარდება, ეს-  
ურვილება და საკუთარ მდიდარ, ერო-  
ტიკულ ფანტაზიებს გასაქანს რეალობაში  
თუ არა, ფიქციაში აძლევს. ქალისგან უარ-  
ყოფილი, დაგუბებულ ემოციებს ბეჭერებად  
ანანგვრებს, სიტყვებად გარდაქმნის და  
საოცარი ლირიზმითა და ვიზუალური  
კალაბურებით გამოხატვის გენიალურ  
დორმას პოელობს.

ուրիշ, առաջ ածալցաթրճա ալարաձա; յլու-  
ողիս პըսպորոյզուտ աշնօնեցրեծ սայշ-  
տարո ասակու Շըսալլեցլոնեծ դա ցրճնո-  
ծաժո եղլմուցարալո, եմահակլերին յցո-  
րուս: „Ճասասրցու այ արուս... ճաներց, յան-  
ճաճաս Շենո տացո, ճաներց! Սեբա րուտցուս  
ցարցիսար, ցանա?!” Ճա Ենրաս ինպեծ, Ենրո-  
սաս ցո ածլեցնուրագ եցաց, ածլեցնուրագ  
ցրճնոծ դա ածլեցնուրագ յմնուս յալուս  
Յոռդիրուց:

„Why?  
*Because otherwise I could not see you*“).

— Because otherwise I will not see you. »  
Амбъзът ѝ погърба, Магарашад са оправил ръчка-  
мигтичулана, и да настъпил връхните дни, кога  
и той ще се съмне във възможността да се  
възстанови. Тогава ще се съмне и във възможността  
да се съмне във възможността да се съмне във възможността



ში გამოწყობილ, მოკრძალებულ და ნერვ-იული მოძრაობების მქონე იღუმალ ქალს და, ჯოისთან ერთად, ჩვენც ვსვამთ კითხვას: ვინ? ვინ არის? ვინ უნდა იყოს?

კათ: კინ? კინ პირის? კინ უნდა ყოფის?  
ინტერესი ჩნდება, მიშულის ღვივდება  
და მოსწავლით დაინტერესებული კაცი,  
რომლის მზერა მოგვავანებით ვერტიკალუ-  
რად, ტალახიდან მთისკენ იქნება მიმარ-  
თული, თავისი მოსაწონებლად გაუთავებელ  
ლაყბობას იწყებს სვედენბორგზე, არეო-  
პაგელზე, მოლინოსზე, იოაკიმ აპასზე...  
თუმცა მოგვიანებით იმასაც ხვდება, რომ  
მისი სიტყვები ქალის გონებაში ჭაობში  
ჩაძირული ცივი, გაპრიალებული ქვებივ-  
ით ეფლობა.

„და მაშინ, როცა ვდგავარ და საკუთარ  
თავს ვუყურებ, ცივად მესალმება, ელვისე-  
ბურად კიბეზე ადის და ნამიერად მისი ზან-  
ტი, ალმაცერი მზერიდან ვნებიანი შხამი  
ინთხევა“... (*and as I halt in wonder and look*

*about me she greets me wintrily and passes up  
the staircase and darting at me for an instant out  
of her sluggish sidelong eyes a jet of liquorish  
venom").*

და გათხოვილი ქალი, რომელსაც ვერ  
მისწვდა, მეტაფორად და ხატად ალექსული  
დარჩა კაცის ნარმოსახვაში. ჯაკომო ჯო-  
ისი ჯეიმზ ჯონსია და ჯეიმზ ჯონსი სტივ-  
ენ დედალოსია, ის ახალგაზრდა ხელო-  
ვანი, რომელიც სამყაროს ხმების, ფერების,  
ასოციაციების, ხატების ნაკრებად აღი-  
ქამს. სწორედ ის სტივენია, დუბლინში სა-  
ნაპიროზე ზღვასთან მდგარ გოგონას საკ-  
უთარი ნარმოსახვით ჩიტის მსგავს არსე-  
ბად რომ აქცევს. და თუ მაშინ, დუბლინში,  
ეილენზე შეყვარებული მის სახელს ნარ-  
მოთქვამს, ახლა, ტრიისსტში, სან მიშელეს  
ქუჩას მიუყვება და მოსწავლის სახელ  
ჩურჩჩლით იმეორებს.

„განა დუბლინის ქუჩებში ღამლამობით  
შეგ არ დაძრნვდი? ოლონდ მაზინ სლუუნ-  
სლუკუნში სულ სხვა სახელს იმეორებდი?“  
(Did you never walk the streets of Dublin at  
night sobbing another name?)

ტრიესტსა და დუბლინს შორის კი ზღვარი წაშლილია. ტრიესტიც ისეთივე მრუჟები, მოსაწყენი და ერთფეროვანია, როგორც დუბლინი — ნაცროსფერი დღეებით, განანწალებით, მდინარის ნაპირას თაღების ქვეშ კლიენტების მომლოდინე მეძავებით, თამასექოს მაღაზიებით, ბაზრობებით, ატალახებული ქუჩებით, ეტლებითა და სასაფლაოებით. ამ ქალაქში კი შიგადაშიგ კროება მოსწავლის ხატი, მარავალი პერსპექტივიდან დანახული, ერთდროულად საოცრად ხელშესახები და ამავე დროს მიუწვდომელი. ამიტომაცაა, რომ ქალი მრავალწახნაგოვანია, მუზაა, მარადექალური საწყისის გამომხატველია და, ამავდროულად, შავი დედალი, ცხენს ადევნებული კვიცი, უსუნო ყვავილი თუ აჯღურტულებული ჩიტია. თუმცა, მისი სხეულის ამსახველი ხატი ყოველთვის კაცის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უძველეს მატერიალური ძეგლი იყო.

ଲୋ ଶୁର୍ବୀଳେବୀରୁ ଗାଥମନ୍ଦାତ୍ପ୍ରେଣ୍ଟିଆ:  
 „ଫାର୍ଦ୍ଜୁର୍କୁଲ୍ଲାରୀ, ଅକ୍ଷେନ୍ଦ୍ରପ୍ରୁଲ୍ଲାଦ ଅଲ୍ମାତ୍-  
 ଗ୍ରୋ ତୁର୍ଜ୍ବଧୀ: ମାଝେରେ ସବ୍ଲୋନାରୀ ମୂଳ୍ୟସଙ୍ଗୀ“...  
 („Long lewdly leering lips: dark-blooded mol-  
 luscs“)

„გრევალი და გნიფე „... („Rounded and ripened“)

და მაინც, ყველაზე დიდი ტკივილი დან-  
აკარგის ტკივილა. სიძნელითა და აჩრდი-  
ლებით მოცული ქალის სხეული და კინო-  
ფილმის კადრი: „ცარიელი ოთახი, ამ-  
ღვრეული დღის შუქი და გრძელი შავი  
ფორტეპანი: მუსიკის განსასვენებელი“,  
რომელსაც სიცარიელის, დანაკარგისა და

მიღდგაცრუების სევდა მოაქვს.  
 და სადღაც ისევ ყდერს ჯოისის სიტყ-  
 ვები: „გიყვარდე მე“... („Love me“).  
 ჰოდა, უნდა გიყვარდეთ ჯაკომო ჯოი-  
 სი და, რასაცყირველია, უნდა გიყვარდეთ  
 მისი მთარგმნელი, საოცრად გამბდედავი  
 თამარ გელაშვილი, რომელიც ჯოისის მხ-  
 ატვრულ სამყაროს შეეჭიდა და ქართველ  
 მკითხველსა და ქართულ ლიტერატურას  
 უდიდესი სამსახური გაუწია.



## ნატა ლომოური

ალბათ არ არსებობს სირთულე, მწერალთა სახლი რომ ვერ გადაასახავს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა მაშინ, როცა საქართველოს მთავრობამ საგანგებო მდგო-  
მარეობა გამოაცხადა და ირგვლივ თითქმის ყველაფერი გაჩერდა. მთელი ამ დროის  
განმვლობაში მწერალთა სახლის თანამშრომლებმა საგანგებო რეჟიმში იმუშავეს,  
ახალი პროექტები აამოქმედეს, ძველები განაახლეს, შედგნენ თხლაინპლატფორ-  
მაზე და თითქმის შეუჩერებლად „მაუწყებლობდნენ“. გამართეს კონკურსები, თხ-  
ლაინდაჯილდოვებები, შეხვედრები, საერთაშორისო ღონისძიებებიც კი. პროცესს  
შეუერთდნენ მწერლები, მთარგმნელები, გამომცემლები, მკითხველები. თავის მხრივ,  
„ლიტერატურულმა გაზეთმა“ მწერლებს ერთად მოუყარა თავი და 16 აპრილიდან 5  
მაისამდე გაზეთის ბლიცინტერვიუთა სერიაში 56 ავტორი ჩართო, რომელთა პასუხ-  
ები ინტენსიურად ქვეყნდებოდა ჩვენს ფეისბუქგვერდზე, მაისიდან კი, როცა შესა-  
ძლებელი გახდა გაზეთის დასტამბვა, ყველა „შეჩერებულმა“ ნომერმა, ერთკვირი-  
ანი ინტერვალებით, მკითხველადდ მიაღწია. მწერალთა სახლის დირექტორი ნატა  
ლომორი მოგვიყვება, როგორ იმუშავა ორგანიზაციამ საგანგებო მდგომარეობის  
პირობებში. ბევრი რა და ვერც დაიტა ინტერვიუმ, მაგალითად, მხოლოდ შესავალში  
თუ ვახსენებ იოსიფ ბროდსკის დაბადების 80 წლისთვისადმი მიძღვნილ ღონისძიე-  
ბას არაერთი ქართველი მთარგმნელის მონაწილეობით, ასევე, პროფესორ მერაბ  
ლალანიძის თხლაინლექციას, რომელიც აკაკის 180 წლისთვავს მიეღძვნა და პირდა-  
პირი ტრანსლაციით გადაიცემოდა მწერალთა სახლიდან, 26 მაისს ვახტანგ ჯავახ-  
აძის, ბექა ქურთხულისა და თეა თოფურიას საუბრებს საქართველოს დამოუკიდე-  
ბლობის შესახებ, ასევე, ბავშვთა საერთაშორისო ღონისძიების მიძღვნილ დისკუსიას  
საბავშვო მწერლების მონაწილეობით.

**ყველაფერი კი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით დაიწყო.**

— გახსოვთ, რა ლონისძიებით „დაიხურა სეზონი“ მწერალთა სახლში?

— ბოლო ხალხმრავალ, საინტერესო  
შეხვედრას საგანგებო მდგომარეობის  
გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, 27  
თებერვალს, ვუმასპინძლეთ. სამახსოვრო  
საღამო იყო — დავით წერედიანის ხსოვ-  
ნას მიეძღვნა, ღონიძეებას პოეტი და მთარ-  
გმნელი გიორგი ლობჟანიძე და მთარგმ-  
ნელი ნანა ტონია უძღვებოდნენ. მეორე  
დღეს კი, 28-ში, მწერალთა სახლმა თავისი  
სამომავლო სტრატეგია გააცნო მოწვეულ  
სტუმრებს — მწერლებსა და გამომცემ-  
ლებს. ეს პირველი სამუშაო შეხვედრა იყო  
მას შემდეგ, რაც ჩვენი ორგანიზაცია და  
ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრი  
გაერთიანდა. მიმართულებები გამოვკვე-  
თეთ — მწერალთა სახლის პროექტები  
ლელა შეტითიძემ წარადგინა, წიგნის  
ეროვნული ცენტრის პროექტები კი მაია  
დანელიამ გააცნო სტუმრებს. მე ერთგ-  
ვარად შევაჯამე შეხვედრა, ჩვენს ერ-  
თობლივ სამუშაო პროცესზე ვისაუბრე-  
ვფიქრობ, მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო.  
სამწუხაოდ, ამის შემდეგ მალევე შეიცვ-  
ალა ყველაფერი და სრულიად ახალი  
გამოწვევის წინაშე დავდექით — პანდემი-  
ის პირობებშიც კი უნდა მოგვეხერხებინა  
გეგმების განხორციელება და კულტურუ-  
ლი ცხოვრების გაგრძელება.

— ვფიქრობ, თქვენ ეს მოახერხეთ, თუ-  
მცა სანამ საგანგებო მდგომარეობის  
პერიოდში მწერალთა სახლის მნიშვნე-  
ლოვან ნაბიჯებზე ვილაპარაკებთ, ერთ-  
იანი სურათის უკეთ წარმოსაჩენას, იქნებ-  
ის საერთაშორისო წიგნის ბაზრობები  
ახსენოთ, რომლისთვისაც ასე ემზადებ-  
ოდით და ვერ გაემზავრეთ.

— 2 მარტს ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მწერალთა სახლმა 16 მარტამდე გააუქმა ყველა ლონისძიება. 4 მარტს კი გვაცნობეს, რომ რამდენიმეთვიანი ინტენსიური მუშაობის ნაყოფს ვერც ლონდონში მოვიმეოდით და ვერც ლაიფციგსა და პარიზში. სამივე ეს წიგნის საერთაშორისო ბაზრობა უბრალოდ გაუქმდა.

— თუმცა ამ მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების გაუქმებით გამოთავისუფლებული ბიუჯეტი მნერალთა სახლმა ძალიან მნიშვნელოვანი საქმის თვის გამოიყენა. გვიამშეთიმ ორი პროექტის შესახებ, რომელიც პანდემიის პირობებში მომზადდა.

”  
გაეოცვალს  
ნინაშა  
დავდებით  
“



წიგნის ცენტრის გაერთიანების შემდე  
გაც წარმატებით გრძელდება.

— ეს მართლაც მნიშვნელოვანი პროექტებია. ქართული ლიტერატურა თარგმანებში განკუთვნილია უცხოური გამომცემლობებისთვის და, ჩვეულებრივ, მოიცავს სამ სააპლიკაციო პერიოდს. სულ სამივე ამ პერიოდში, 39 თარგმანი დაფინანსდა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ავტორების ნაწარმოებებს, ქართველი მკითხველის თვის უკვე ცნობილ წიგნებს, ინგლისელი გერმანელი, ესპანელი, თურქი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, ავსტრიელი, ბერძენი მკითხველები წიაკითხავენ. პროგრამა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას ემსახურება და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში ქართული მწერლობის ჩართულობას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს.

ინფორმაცია დაფინანსებული პროექტების შესახებ გამოქვეყნებულია ჩვენი ვებგვერდზე და ყველას შეუძლია, გაეცნოს.

„უცხოური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში“ კი განკუთვნილია ქართულ

მანათლებლო მიმართულება და საპავშე-  
ვო-საყადანვილო მნირლობის ხელშეწყო-  
ბა. ამ მხრივ, შედარებით ახალი პროექ-  
ტია „ლიტერატურისა და შემოქმედები-  
თი წერის სახელოსნო“.

— დიდი ხანია, შეიძლება ითქვას, პირველი ხანი სავაკე წლიდან, ვფიქრობით შემოქმედებითი წერის სახელოსნოს გახსნას და, აი, შარმან მოვახერხეთ. ამ ძალიან პოპულარულ პროექტს დავით გაბუნია უძლვება, წელს ირმა ტაველიძეც შემოგვიერთდა. პანდემიამდე ბევრი ბავშვი სტუმრობდა სახელოსნოს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაშ პროექტი თითქოს შეაფერხა, თუმცა დათომ და მისმა მოსწავლეებმა მარტში მაინც გამართეს ონლაინშეხვედრები. ვიმებოვნებთ, სახელოსნოს მუშაობას ხელს აღარაფერი შეუშლის და მისი წევრები სულ ცოტა ხანში ისევ შეიკრიბებიან.

— ონლაინშეხვედრების ფორმით გაგრძელდა მწერალთა სახლის ცნობილი პროექტიც „ბავშვები მწერალთა სახლში“.

— ეს ჩვენი ერთ-ერთი პირველი და ძალიან წარმატებული პროექტია, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროსაც არ შეჩერებულა. პირიქით, პროექტის ხელმძღვანელს, ვასილ გულეურს, კვირაში ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც ონლაინჩართვა ჰქონდა ბაგშევბთან და სხვადასხვა ნანარმოებს უკითხავდა მათ. ჩვენი, ასე ვთქვათ, ონლაინპროექტებიდან ყველაზე მეტი „ნახვა“ სანორედ ამ შეხვედრებს აქვს.

— მგონი, არანაკლები გამოხმაურება მოჰყვა ვიდეოპროექტს „ბავშვები ურჩევენ ბავშვებს“.

— ესცე, შეიძლება ითქვას, იზოლაციის პროექტია, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. იდეა, ბავშვებს ნაკვითხათ თანატოლებისთვის ნაწყვეტები საყვარელი წიგნებიდან, ჩაეწერათ ვიდეორჩევები და განეთავსებინათ ისინი ჩვენ გვერდზე, — ძალიან ნარმატებული აღმოჩნდა. პროექტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სკოლების VI-IX კლასების მოსწავლებმა. ვიდეორჩევები ერთგვარი კატალოგია — რა წიგნების ნაკითხვა ურჩიეს საზაფხულოდ თანატოლებმა ერთმანეთის. მსმენელი კი ხმას აძლევს იმ ჩანაწერს, მაქ-სიმუქ — ხუთს, რომელიც განსაკუთრებულად მოქნონება. ხმის მიცემა ახლაც მიმდინარეობს და სეტტემბრის ბოლომდე გაგრძელდება. შემდეგ კი „მონიშნებები“ დაითვლება და სამ გამარჯვებულ ვიდეომრჩევე-ელს გამოვავლენთ.

— ფაქტობრივად, მნერალთა სახლმა იმდენად საინტერესო აქტივობები შეს-თავაზა წიგნის მოყვარულ მოზარდებს, რომ მათ იზოლაციის სიმძიმე ერთგვარ-ად შეუმსუბუქა. ასეთი იყო კონკურსი „სამყარო ხვალ“.

„ବେଦପ୍ରକାଶିତ ପ୍ରକଳ୍ପ“ :  
— ଏହା ପ୍ରକଳ୍ପରେ ଆନନ୍ଦମୂଳିକା ଗାମନପ୍ରକାଶାଧୟ-  
ବିଦ୍ସାନାନ୍ଦ୍ୟ ଦାନ୍ତିକୁ ମନ୍ତ୍ରରାଜ୍ୟରେ ସାକ୍ଷରମା ଗା-  
ମନାପ୍ରକାଶଦା ଫାନ୍ଦିତାବ୍ରତିକୁ ଯୁଦ୍ଧରିଲା ମନୋବିଜ୍ଞାନ-

	डॉ. एस.एस. वेंकटेश्वरान		डॉ. के.आर. वेंकटेश्वरा रौ
	डॉ. एस.एस. वेंकटेश्वरान मुख्य सचिव		डॉ. के.आर. वेंकटेश्वरा रौ मुख्य सचिव



ძების კონკურსი უფროსს ელასელთა თავის, უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების IX-XII კლასების მოსწავლეებისთვის. ამ ონლაინ-კურსს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პანცემის გამო სახლებში გამოკეტილი მოზარდები გა აქტიურდნენ — კონკურსის პირობის შესაბამისად, მაქსიმუმ, ათასსი ტყვევიანი მოთხოვების დაწერეს და შესაბამის გვერდზე ატვირთეს. სულ ოთხმოცდაც-ხრამეტი განაცხადი შემოვიდა. ნანარმოებების მიღების ბოლო ვადა 5 იქნის იყო. ივლისის დასაწყისში კი უიურიმ, რომლის წევრებიც იყვნენ ირაკლი ლომოური, ვა-სილ გულეური, ლელა შებითიძე, ნინო ბექიშვილი და ზურაბ პაპაშვილი, ათი ფინალისტი გამოავლინა, მათგან სამ საუკეთესოს, პრემიის სახით, მაღაზია „ზუმერის“ 500, 400 და 300-ლარიანი ვაუჩერების გადაეცა. გამარჯვებულების ონლაინ-დასახელება 7 ივნისს მწერალთა სახლში გაიმართა. უამრავი ადამიანი ჩვენი ფეხის-ბუქგვერდის საშუალებით ადვენებდა თვალს ამ ღრისძიებას. ლიტერატურული კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი გახდა ნია რევზიაშვილი ლაგოდებიან, სოფელ აფენის მე-2 სკოლის მოსწავლე მოთხოვებისათვის „მოგზაურობა ფოტოში“, მეორე ადგილი ერგო გიორგი ხითარიშვილს, თბილისის სკოლა „ოპიზის“ მოსწავლე ს მოთხოვებისათვის „სად მიდიან ბატები ზამთრობით, როცა ტბა იყინება?“, ხოლო მესამე ადგილი კომაროველმა ნატალია ჩიტაიამ დაიკავა მოთხოვებისთვის „მომავლის ალტერნატივები“.

ნიგნი „მარტოობის დღეები“ იყო, რომელიც ხათუნამ თარგმნა, ხოლო ქალბატონი ანამ გაარედაქტირა. ამას მოჰყვა ხათუნი (კხადაძის ძალიან საინტერესო ლექციი „პაზოლინი — ქალი, კაცი, ხორმა“; შემდეგ თეონა ბერიშვილმა და ზაქარია ქიტიანი ვილმა ისაუბრეს ორვაზ ინანიშვილზე; 1976 წლის 14 აპრილი გაიხსენა ფილოსოფოსმა ზაზა ფირალიშვილმა; ალექს ჩილვინაძე და ანა ჯანელიძე კი თავიათი ერთობლივი წიგნები გააცნენ მეთხველს.

— არანაკლებ საინტერესო ავტორები მი მონაწილეობდნენ პროექტში „კითხვები იზოლაციაში“.

— დიახ, როცა ყველაფერი გაჩერდა ჩვენი რუპრიკა „კითხვები იზოლაციაში ძალიან აქტიური იყო და ყოველი ავტორი გამოჩენას სასიამოგნო გამოხმაურებები მოჰყვებოდა ხოლმე. სიტუაციასთან შესაბამისი რამდენიმე კათხვა ჩამოვწერეთ და ჩვენს მოწვეულავტორებს ვუსამდით. რა კითხულობთ იზოლაციაში? რა გენატრექტო ათ ყველაზე მეტად? როცა კარისტინი და რულდება, პირველს რას გააკეთებთ? უფრო ადვილია, თუ უფრო ძნელი იზოლაციაში ნერა? და ასე შემდეგ. ზოგიერთი მათგანი შინიდან გვერთვებოდა, ზოგიც მწერალთა სახლში აძვიობინებდა მოსვლას. არერთმა მწერალმა უპასუხა ჩვენს კითხვებს, მათ შორის იყვნენ არჩილ ქიქოძე დიანა ანფიმიალი, ზურაბ ქარუმიძე, ბერებადამაშვილი.

— თქვენს ლიტერატურულ პოდკასტებსაც ბევრი მსმენელი ჰყავდა.

— ეს არის მწერალთა სახლის ახალ პროექტი, რომელიც მოიცავს ჩანაწერებს და დისკუსიებს მწერალთა სახლის ონლაინგვერდზე.

პირველად მოთხოვბა „ძილი ნებისა  
მწერალთა სახლიდან გაახმოვანა ავტორუ  
მა თათია ნადარეეშვილმა, ინგლისურა  
კი — ალთეა ქოლი-მერფრიმ. შემდეგ მკა  
თხველმა მოსამინა ბორის ვიაჩის შანსონ  
„მე ვარ სნობი“. ლიტერატურული პოდკას

ტის პოეზიის თარგმანების სერიისთვის  
შექმნილი ეს ჩანაწერი ლეგენდარული შახ-  
სონიეს 100 წლის იუბილეს მიეღვნა. ტე-  
ქსტი ორივე ენაზე — ფრანგულად და ქარ-  
თულადაც — მთარგმნელმა ბაჩანა ჩაბრ-  
აძემ წაიკითხა. იმავე სერიისთვის ჩაინცერ-  
ფედერიკუ გარსია ლორკას „სომნა მშულ-  
ური რომანსი“, ეს გახლდათ ლექსი კრე-  
ბულიდან „ბოშური რომანსერო“, რომელ-  
იც დაგით წერედიანმა თარგმნა. ტექსტი  
კითხულობდნენ მთარგმნელი და ლიტერ-  
ატორი მანანა ლარიბაშვილი და ესპანეთი-  
დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელ  
საქართველოში ხორხე ლურიინ სერანი დ-  
პარო.

— በዚ መኖሪያ የዚህ ስም ተመዝግቷል ነው ጥሩ ይመለከታል —

— „ვერსეპოლისის“ მართლაც გახლავთ  
პოეზიის ევროპული, მასშტაბური პლატ  
ფორმა, რომელიც ევროკომისიის „კრე  
ტიული ევროპის“ პროვოკამის ფარგლებ  
ში ხორციელდება. ის აერთიანებს და აკავ  
შირებს ორას სამოცდაოთხ პოეტსა და  
ოცდაოთხ ფესტივალს, მათ შორის, მწერ  
ალთა სახლის მიერ თრგანიზებულ თბილი  
სის საერთაშორისო ღიტერატურულ ფეს  
ტივალსაც. „ვერსეპოლისის“ სხვადასხვა  
ქვეყნის პოეტების მხარდამჭერია და უზ

რუნველყოფს მათ ჩართულობას მსოფლიო  
ლიონ ლიტერატურულ პროცესებში. ქადაგი  
ლიან მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ა  
პლატფორმის ხელშეწყობით ითარებებს  
პოზიცია ინგლისურ და სხვა ევროპულ ენერ  
ებზე, წევრი პოეტები მონაწილეობას იღე  
ბენ ევროპის საერთაშორისო ფესტივალებ  
ში, ეცნობიან უცხოურ აუდიტორიებს, გა  
მომცემლებს, აგენტებს, ჟურნალისტებს  
წელს მწერალთა სახლის ხელშეწყობით  
„ვერსეპოლისის“ წევრ პოეტად ეკა ქევა  
ნიშვილი დასახელდა.



— და, მგონი, ბუნებრივი იქნება ინტერვენციუს მომდევნო თემად თუ ავირჩევთ ლიტერატურულ ფორმ-დიალოგს, რომელიც წლების წინ სწორედ ქართული წიგნისა და ლიტერატურის უცხოეთში პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა და რომელიც წელს პირველად გაიმართა მწერალთა სახლში.

— ას, არის ძალაუან მნიშვნელოვანი

— ეს არის ძალიან ძხირვებელოვანი პროექტი, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და რომლის მიზანია ქართული ღიტ-ერატურის საზღვარგარეთ გატანა, მისა თარგმნის პროცესის ხელშეწყობა და ამ გზით ჩვენი საგამომცემლო სფეროს განვითარება. 2011-2019 წლებში ფორუმმა სხვადასხვა ქვეყნიდან საგამომცემლო ინდუსტრიის 140-ზე მეტ უცხოელ ნარმობმა დაგენერილ უმასპინძლა. ნელს ამ პროექტს 10 ნელი შეუსრულდა და გვინდოდა, განსაკუთრებულად აღვენიშნა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, ფორუმი ონლაინრეჟიმში გაიმართა. ოთხდღიანი მრავალფეროვანი პროგრამა შევიმუშავეთ. რათქმა უნდა, პრიორიტეტი იყო ქართული საგამომცემლო სექტორის ნარდგენა და, სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, ქართველი და უცხოელი გამომცემლების ერთმანეთთან დაკავშირება. სტუმრებს ნაროვუდებით მნერალთა სახლის სტრატეგია და სახელმწიფო სუბსიდიების პროგრამაც. ქართველმა ავტორებმა უცხო ენებზე ჩაწერეს ვიდეორეკოლები, ასევე ქვეყანათავი გააცნეს ფორუმის უცხოელ მონანილებებს. უცხოელი კურატორების ჩართულობით ნარმოვადგინეთ, ასევე, საბავშვო ლიტერატურული ეს არის ძალიან ძხირვებელოვანი პროექტი, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და რომლის მიზანია ქართული ღიტ-ერატურის საზღვარგარეთ გატანა, მისა თარგმნის პროცესის ხელშეწყობა და ამ გზით ჩვენი საგამომცემლო სფეროს განვითარება. 2011-2019 წლებში ფორუმმა სხვადასხვა ქვეყნიდან საგამომცემლო ინდუსტრიის 140-ზე მეტ უცხოელ ნარმობმა დაგენერილ უმასპინძლა. ნელს ამ პროექტს 10 ნელი შეუსრულდა და გვინდოდა, განსაკუთრებულად აღვენიშნა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, ფორუმი ონლაინრეჟიმში გაიმართა. ოთხდღიანი მრავალფეროვანი პროგრამა შევიმუშავეთ. რათქმა უნდა, პრიორიტეტი იყო ქართული საგამომცემლო სექტორის ნარდგენა და, სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, ქართველი და უცხოელი გამომცემლების ერთმანეთთან დაკავშირება. სტუმრებს ნაროვუდებით მნერალთა სახლის სტრატეგია და სახელმწიფო სუბსიდიების პროგრამაც. ქართველმა ავტორებმა უცხო ენებზე ჩაწერეს ვიდეორეკოლები, ასევე ქვეყანათავი გააცნეს ფორუმის უცხოელ მონანილებებს. უცხოელი კურატორების ჩართულობით ნარმოვადგინეთ, ასევე, საბავშვო ლიტერატურული

დალიან ცოცხალი და საინტერესო გამზოვიდა გერმანელი გამომცემლების მიერ საზღვარგარეთ ქართული ლიტერატურის მიღწევებისა და გამოწვევების მიმოხილვა — ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა-სთან თანამშრომლობით გაიმართა სესია Georgia in Germany — then and now; „ფრანკ-ფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის“ პროგრამის ხელმძღვანელმა სიმღერების ბიულერმა და პროექტის მენეჯერმა კარინა გოლდბერგმა გერმანულენოვან ქვეყნებში ქართული ლიტერატურის წარმატებასა და საზღვარგარეთ მის სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. სესიის მოდერატორი დავით გაბუნია გახლ-

დათ.  
ალბათ გახსოვთ, ყოველ წელს ერთობლივი პროგრამით ვეზდებოდით ფორუმის უცხოელ მონაწილეებს და არა მხოლოდ საგამომცემლო საქმეს, არამედ ქვეყნის მთელ კულტურულ ლანდშაფტსა ვაცნობდით მათ, მაგრამ რაკი ახლა აქ ვე

— ახლა, იმ პროექტებზე მინდა გკითხოთ, რომლებიც შეჩერდა პანდემის გამო. ამათგან რამდენიმე, როგორც ვიცი მსხვილი პროექტია.

— რამდენიმე მსხვილი გადადებული პროექტიდან ერთ-ერთი გახდავთ „თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი“, რომელიც ყოველწლიურად გაზაფხულზე იმართება ხოლმე. შეიძლებოდა, ონლაინფორმიტ ჩაგვეტარებინა, მაგრამ გადადება ვარჩიეთ. მაინც ვაპირებთ სიმბოლურად გამოვეხმაუროთ, ამისთვის ონლაინპლატფორმას გამოიყენებთ — ნინა ნლების ფესტივალების ზოგიერთ, განსაკუთრებით საინტერესო მონაწილეს ვთხოვთ ვიდეორგოლების საშუალებით შეგვეხმიანოს, გაიხსენოს ფესტივალის დღეები, შთაბეჭდილებები, იმ ავტორებსაც ჩაგრთავთ, რომელებიც წელს გვყავდა მონცვეული. ალბათ ამით შემოვიფარგლებით.

ძალიან მწყდება გული, რომ დავით სა-  
რაჯი შვილის მემორიალური მუზეუმი 3  
მაისს ვერ გავხსენით. მოგეხსენებათ, რო-  
გორ ვემზადებოდით ამ დღისთვის, ამ დი-  
რსშესანიშნავი თარიღისთვის — ქართვე-  
ლი მეცენატის ახალაშეწყბული სახლის  
ოფიციალური გახსნა და კურთხევა ხომ  
სწორედ 3 მაისს შედგა, 1905 წელს. ის ის-  
ტორიული ფოტოც, რომელზეც ვერან-  
დაზე მასპინძლის გარშემო შემოკრებილი  
სტუმრებია გამოსახული, სწორედ ამ დღის  
სახსოვარია. ყველაფრის მიუხედავად, მე-  
მორიალური მუზემის გახსნას წელს მაინც  
ვაპირებთ და ეს მოვლენა დავით სარაჯიშ-  
ვილის დაბადების დღეს გვინდა, დავამთხ-  
ვოთ.

პანდემიის გამო გადაიდო ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი „ლიტერაცია“-ზე. ვფიქრობ, მის ჩატარებას ამ შემოდგომაზე მაინც მოვახერხებთ. ეს მეტყო, საიუბილეო „ლიტერა“ იქნება, თუ ვერ შევიკრიბებთ, ონლაინფორმით მაინც აღვნიშნავთ.

იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი სას-  
იკეთოდ წარიმართება და მაღვე ყველანი  
ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებ-  
ით, მაგრამ თუკი პანდემია გაგრძელდა,  
მწერალთა სახლი მზად არის, კულტურუ-  
ლი ცხოვრება ონლაინპლატფორმიდან გა-  
აგრძელოს.


გაგრძელება

მერე ერთიხისანობა სანთლის საამქროში მუშაობდა. ნედლეული ცვილს კი წააგავდა, მაგრამ ღრიფოების ამოსავსებად არ ივარგებდა, უცემ იფშვნებოდა და სიმტკიცის შენარჩუნება უჭირდა, ხოლო ჰერზე წებოვნებას ჰკარგავდა. ძერებს მიძქონდათ ხოლმე ბითუმად, თაფლისა ძვირი გვიჯდებაო. საამქროს სარკმლიდან გორაკი და თათო-ოროლა შემალლება აქლემის ამობურცული კუზებივით ჩანდა. პაპეკს უყვარდა იქით ყურება, გარშემომყოფა გულს ალარ უხსნიდა. ყალბად გაულერებულ ნათქვამს, რასაც სულის სიღრმეში არ ეთანხმებოდა, გამოჯავრებით თუ გაიმეორებდა, აღტაცებას კი მხოლოდ იმათ მიმართ გამოხატვავდა, ვისაც დაუცხრომელი თავგანწირვა ცხოვრების ნესად ეჭციათ. პაპეკება ათასი ჯურის ხალხი გაიცნო, თუმცა არსად ცდილა დამკვიდრებას. ეს ფესვის გადგმის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ ადრე თუ გვიან მანიც მოუწევდა რომელიმე პროვინციულ ქალაქზე არჩევანის შეჩერება, სადაც კეთილგანხყობილი ხალხი იცხოვრებდა. ერთ დასახლებაში უჩინეს, ტანსაცმელში ფულს ნუ გადაყყრო, ქვეყნის ჭინჭები დაგვიგროვდათ. პაპეკსაც აწყობდა ფულის დაზოგვა. იქ მართლაც ბლომად სამოსა ალმოჩნდა, სალებავებით აჭრელებული პერგები, მუშაური კომბინეზონები და სამუშაო წინსაფრები მწკრივად ეწყო. დიდხანს აფათურა ხელი ფუთებში და სამოსელიც საკმარისად დაიმარაგა, რომელთაგან ზოგიერთი იმ დღეში იყო, ოდნავი შეძლების კაცი კარგა ხნის წინ გადააგდებდა, მაგრამ პაპეკს კიდევ დიდხანს გამოადგებოდა. ნაფტალინით გაულენთილ ტანისამოსას წყალში ავლებდა, მერე ლამის გასაპიროს ჰკიდებდა სარეცხის თოვზე და ფანჯრებქვეშ ერთოთავად ქაფი გროვდებოდა ხოლმე ნაწვიმარზე.

„პაპეკი მძაფრუად არასოდეს გამოოთქავა-  
მდა თავის აზრს, რადგან ადამიანები შე-  
ნილგვის სოცტატები იყვნენ და ამის გამო  
გული გასტეხოდა. ამხელა სევდას ვერა-  
სოდეს გაფანტავდა. შიშველ გრძნობებთ-  
ან პირისპირ დგომის მომხრე იყო. თუ მზე  
აჭერდა — დაე, გარუჯვამდე! თუ წიმდა  
— დაე, კოკისპირულად! სიმდიდრე მის-  
თვის შეუღწეველი ციხე-სიმაგრე აღმოჩნ-  
და, თუმცა მის კუთვნილ ტერიტორიაზე  
ერთი-ორო კოშკურის აღება მანც შეძლო.  
ამ ხნის განმავლობაში ცოტაოდენ ფული  
მოაქუჩა. ისე კი არასოდეს უცხოვრია, მო-  
მავალი დაჯავშნული ჰქონდა. რუსეთმა  
მომჟირნე კაცად აქცია, სადაც დაზოგვით  
თუ მიაღწევდა რამეს. ატყობდა, რომ დრო  
იცვლებოდა და სხვაგვარი კვალიფიკაცია  
იქნებოდა საჭირო დასაქმებისთვის. სადა-  
ცაა, გამოიგონებდნენ პროგრამულ ხელ-  
საწყობს, საპეტ მანქანებს რომ ჩაანაცვ-  
ლებდა, ადმინისტრაციის ოთხებში ჩხაკუ-  
ნი შეწყდობოდა და სიჩუმე დაიგანებდა.

ამგვარ ჯაბირში განვლომ მთელმა მისმა სიცოცხლემ, მაგრამ როცა დარბაისელ მოხუცს დაემსგავსა, სარფიან სამსახურსაც გამოჰყერა ხელი. იმ დღის მერე გამოწყვილი დადიოდა, გეოგრაფიის მასნავლებლები რუკაზე რომ უთითებენ, იმის მსგავსი ხელჯოხით. იქვე ისურვა დამკვიდრება. ხეტიალი ალარც შეშვენდა. უკვე იმდენი ეძოვა, ვაგზალთან მცირეფართიანი ბინის შექენა შეძლო. ეს ბინა მშვინვრად ეყოფოდა. აივანი მთავარ მოედანს გადაჟყურებდა. ზოგადად, მოედანზე ვინც ცხოვრობდა, ერთთავად თავის ტკივილს უჩინდა, რადგან ზაფხულობით ჩარჩოების სალებავი მზეში იხრუებოდა. ხმაურიც თრგუნავდა, მაგრამ რახან ბინა გამოსაჩენ ადგილას მდებარეობდა, გამვლელები ისეთი შურით გაჟყურებდნენ, როგორც ჯიბირები საკვოიას. მოშორებით ტყის მასივი მოჩანდა. პაპეკს უყვარდა იქით გასეირნება, ანონილი კორპუსებისგან შემდგარი უბანი ფეხზე წამოჭრილ მეომრებს ჰყავდა, განსხვავებით სოფლისგან, რამდენიმე დატაკი ქოხმახით რომ იყო წარმოავნითი თა მოჩარის პირას წამოწმო.

და, უნდობლად ეპყრობოდნენ და მის სახ-  
ლიე უჩუმრად უთითებდნენ. არ სურდათ,  
ამ ამბებთან რამე კავშირი ჰქონოდათ. მას  
ადრე გარეუბნიდან კარგა მოშორებით  
უცხოვრია, სანამ კარიერულ წარმატებას  
მიაღწევდა და ცენტრში აღმოჩნდებოდა.  
ბევრი ცნობდა მონინავე ავტორიტეტად,  
სანყალი ხალხი ხშირად აკითხავდა სიმა-  
რთლის დასადგენად და ისიც არ იშურებ-  
და სიბრძნეების ფრქვევას. კარის მეზო-  
ბლად კი ქვრივი ქალი ჰყავდა, რომელიც  
გარდა ცვლილ დედმოთილს გლოვობდა.  
ერთი კეცელი ჰყოფდათ, ისიც მორყეული  
და ხმები მკვეთრად გაისმოდა. დახოცილი  
მწერებით მოსვრილი და დალაქავებული  
სადარბაზოს მინები, ჰერბარიუმის ალბო-  
მის ილუსტრაციებს რომ ჰყავდა, წვიმის  
შემდეგ გამჭვირვალე ხდებოდა. პაპეკს  
ხედი მშობლიურ სანახებს ახსენებდა. ჩავ-  
ლილი ამბები თვალწინ წარმოუდგებოდა



# დიმიტრი წიკლაური

## მოუსვენარი პაპეპი

# მოუსვენარი პაპევი

ზოგან მშენებლობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო. მომცრო ფარდულების ადგილას აშენებულ კორპუსებში შეიდარებონ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ვერდონებში ცხელ ფისას ასხამდნენ და კიბეზე აპქონდათ, მოსაზღვრულ ფართობზე მიმღვრა რომ მოესწროთ, სანამ გაცივდებოდა. სამუშაო ცხრილი მეცრად გათვლილი იყო, რომელიღაც შედეგის დადგომას ემსახურებოდა, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ იმდენი სამშენებლო ნაგავი გროვდებოდა, მთსი გატანა აზრს კარგავდა. უფრო მართებული იქნებოდა, თავად იქაურობა შემოეღობათ და ნაგავსაყრელად ექციათ. პაპეკი ცდილობდა, შინ ხმირად ყოფილიყო, რადგან სახლს მიტოვებულად თუ ჩათვლიდნენ, ქურდბაცაცები მოაწყდებოდნენ. ღოვლათი ურიცხვ მიმტაცებელს დარჩებოდა, ნარჩენებს კი შედარებით პატიოსნები გაზიდავდნენ. ოლონდაც ნასალები დაეგულათ, უბირი ხალხი მინიდანაც ამოძვრებოდა. ნუთისოფლის სიმუხტლეს თავისი მკვეთრად გამოხატული კანონზომიერება ჰქონდა, ყველანი თავიანთ მიმდევრებსა და შთამომავლებს ზრდიდნენ, ვინ არისტოკრატიული ნეს-ჩვეულებით, ვინ შრომა-გასაწირების კოლონიური მეთოდით. პაპეკის მეზობლად ცნობილი მძარავები ახორციელდა, ვინც მას იკოჩავ

ხოლმე, თუნდაც უმინიშვნელო, მაგრამ მის-  
თვის ძვირფასი დეტალებით. აგონდებო-  
და დაბის შავი და თეთრი ღრუბლებით გა-  
ჯერებული ცა, იქ გატარებული წვიმიანი  
დღეები, რომლებმაც ისე ჩაიარეს, თითქოს  
ნაბით მოსილმა მწყემსებმა ცხვრის ფარა  
ნაასხესო. განთიადზე, როცა საგნები ხი-  
ლული ხდებოდა, მცირე წარმისახვებსაც  
შეეძლოთ უსაზღვროდ განვრცობა... მა-  
გრამ პაპეკმა როცა ჩათვალა, როგორც იქ-  
ნა დავფუქნდიო, განსაცდელი სწორედ მა-  
შინ დაატყდა თავს.

ერთ დღესაც სასტიკმა ტკივილებმა კრ-  
უნჩხვებში ჩააგდო. კლინიკაში ყოფილიას,  
სადაც სასწრაფო დახმარების მანქანით  
მიიყვანეს, მინიშვნელოვანი გადაწყვეტილე-  
ბა მიიღო, თუ გადავრჩები, სამშობლოსკ-  
ენ გავნევო. უკვე მრავალი წელი იყო გასუ-  
ლი და ამ გადაწყვეტილების მიღების შემ-  
დეგ როგორლაც დამშვიდდა. აი, თურმე  
რა სჭირდებოდა ყველაზე მეტად.

— მთავარია, ტკივილი არ გაგიმეორდ-  
ეთ, სავალალი შედეგი რომ დადგეს! —  
არიგებდა პალატის ექიმი, რომელიც ლინ-  
ზებით ადჭურვილ თხუნელას ჰყავდა.

— ეგ როდის მოხდება? — ჰკითხა პა-  
პეკმა.

— შესაძლოა, ხვალაც, შესაძლოა, ერთ  
თვეში, ან სულაც ერთ წლიობაზემდე!

როცა გამოწერეს, მაშინვე ბინის გაყიდვას შეუდგა. სხვის სამშობლოში ბინძუ  
ყიდვა თურმე იმიტომაც არ დორს, პოლოს  
მაინც გაყიდვა გინევს. ერთიანობა უახ-  
ლოეს ეკლესიაში წირვებს ესწრებოდა და  
სასულიერო ლიტერატურითაც დაინტერ-  
ესდა. რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი  
შეიძინა და გულისყურით გადაკითხა. მე-  
რე ხუცესი მოინახულა და რწმენის საკითხ-  
ებზე ისაუბრეს, ხუცესი აზრებს ჭვევიანუ-  
რად ალაგებდა — ღმერთი ყველგანაა და  
თუ მისი არ გნამს, სინამდვილეში არსადაც  
არ ხარო. აქ დიდი მიზნები არ უნდა დავი-  
სახოთ, რადგან სიკედილს მაინც ვერ ავც-  
დებითო, რომელიც ყველა გეგმის სახე-  
ლგნითქმული ჩამოსულიაო. პაპეკმა უთ-  
ხრა, წარსულს რომ ვიხსენებ, ასე მეჩვენე-  
ბა, ჩემი ყოველი მტერი ჩემთან მართალი  
იყოო. ხუცესმა მოუნონა, თუ გულწრფე-  
ლად ამბობ, სწორ გზაზე დგახარ, ყველას  
სურს, თავისი მტერი დაცემული იხილოს,  
მხოლოდ ქრისტიანი უსურვებს აღზევება-  
სო.

— ერთ რამეს ვერ ვხვდები, ამ უდაბნოში რისთვის დაგიბადეთ? — ჰეითხა პაპეკმა.

— სახლის გზა რომ გამოვიგნოთ! —  
უპასუხა ბერმა და გუმბათზე მიუთითა.

მოკლედ გულითადად ისაუბრეს. პინის  
მყიდველი რომ გამოჩნდა, ნანახით კმაყ-  
ოფილი დარჩა. მოეწონა, სახლი ვაგზლის  
სიახლოეს რომ მდებარეობდა. ფული თან  
ჰქონდა და ნოტარიუსში წავიდნენ, ახ-  
ლავე გადავაფორმოთ, მაგრამ სადარბა-  
ზოში ყვირილი რომ გაიგონა, შეცდა. პაპე-  
კმა დაამშვიდა, ჩემი მეზობელია, უწყინარი  
ქალბატონი, მარტო ცხოვრობს და ნლ-  
ისთავამდე პერიოდულად დედამთილი ეს-  
იზმრება ხოლმეო. ხომ გესმით, ორივენი  
ქვრივები იყვნენ, ერთად ზიდავდნენ ცხ-  
ოვრების სიმძიმეს და ცხადია, ფაქიზი ურ-  
თიერთობა აკავშირებდათ. ამიტომაც გან-  
იცდის ასე მგრძნობარედ. მომავალ თვე-  
ში ნლისთავი უწევს და შერე უჯგუფელად  
გადაუვლისო. გადაფიქრების პირას მისუ-  
ლი მყიდველი ამ უშფოთველმა განმარტე-  
ბამ ბოლომდე მაინც ვერ დაამშვიდა და  
სანამ სანოტარო კანტორას მიადგებოდ-  
ნენ, ძალუმად ცმუქავდა. არჩევნის სის-  
ნორეში განსამტკიცებლად პაპეკი იძულე-  
ბული გახდა, ცოტაოდენი თანხა კიდევ და-  
ეკლო.

გამოიმგზავრების დღეს სადგურში ადრე გამოცხადდა. გზის გასწორივ ლაპბიონების მწკრივი ჩახდა. წვრილი ნათურები მილეული ვარსკვლავებივით ბჟუტავდა და სივრცის პირქშე სიცარიელეს გადადღაბნილი ტილოსავით ირეკლავდა. პაპეკი მობუზული გასცეკროდა მომაპეზრებელ სიძორეს, რომელიც უსაზღვრობის შეგრძნებას ბადებდა. არემარე იმდენად განვრცობილი იყო, მრავალი ნულით გამოსახული რიცხვები არაფრის მთქმელ განზომილებად ქცეულიყო. მიზანი ხელის განვდენაზე უნდა ყოფილიყო, რადგან პაპეკს ადარ ძალუძა შორეული საგნების მოხელობა. ადრე თუ მხოლოდ იქით გასწევდა, თვალთახედის არეში რაც ხვდებოდა, ახლა შორეულ გზას უკანასენელად დასდგომოდა. ყოველ ეპოქას ჩავლილი დრო ამჟღავნებს. პაპეკს კი, სახელი რომც მოეხვეჭა და აფიძაზე გამოესახათ, მანამ შერჩებოდა ჭუჭყიან ბოძებს, სანამ ზედ ახალ აფიშას გადააკრავდნენ. იგი იმ ქვეყნიდან მოდიოდა, სადაც გაქცეულ პატიძრებს განყვეტილი ჯაჭვებით აგნებდნენ. მანანალის მზერა სახიდან არ შორდებოდა, რადგან ვერც წარსულს ტოვებდა და ვერც მომავალს ეგებდოდა. შინისკენ მიბრუნებულს რატომლაც ეგონა, გზა გადაჭედილი დახვედებოდა. როცა საზღვარს გადაცდა, უცხო განწყობა დაეუფლა. თითქმის ერთი კვირა მოუნდა გზას. მატარებლით ბრუნდებოდა, რკინის ბორცლებს რახრახი გაპქონდა, ტამბურის მინები საწყალობლად ზრიალებდა და ტკაცუნობდა, რადგან კივილით მიმავალს ზედ გასსხვილი ტოტები გრძელი შოლტებივით ეხლებოდნენ.

ଓঁ।।। কৃষ্ণের শক্তি বলোবাবু

# ଲୋକିରାତିକ୍ରମିକୁଳି ପଦ୍ମନାଭ

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
საქართველოს მთავრული სახელი

რედაქტორი ირაკლი ჭავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
უურნალისტი თამარ უურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

